ჯიდევ ერთხელ
ბეჟანიძეებისა და
აბუსერისძეების
საერთო
წარმოშავლობაზე

კიდევ ერთხელ ბეჭანიძეებისა და აბუსერისძეების საერთო წარმომავლობაზე

გამომცემლობა „ლაზარე+“
ბათუმი – 2019

წინამდებარე ნაშრომი მცდელობაა წარსულის ახლ-ებური გააზრებისა, რომელშიც ბეჟანიძეთა აბუსერისძე-ებისგან წარმომავლობა საფუძვლიანი არგუმენტებითაა გამყარებული. მისი მიზანია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ზოგიერთი დეტალი განსხვავებული ხედვით დაანახოს მკითხველს.

შემდგენელი
ბექა ბეჟანიძე

სარედაქციო ჯგუფი:
რამაზ ხალვაში – პროფესორი
შოთა მამულაძე – პროფესორი
ზაზა შაშიკაძე – პროფესორი
ჯემალ ბერიძე – პროფესორი
მერაბ მეგრელიშვილი – პროფესორი

ISBN 978-9941-9496-2-3

© სარედაქციო ჯგუფი — 2019

წინათქმა

არიან მკვლევრები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხზე ახლებურ ხედვას სთავაზობენ მკითხველს. აღნიშნულ კვლევათა ნაწილი მყარ არგუმენტებზეა დაფუძნებული და, როგორც ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს, აქვთ არსებობის უფლება.

მათ შორისაა, ციალა ბეჟანიძის ნაშრომი „ზენდიდის ციხე. ბეჟანიძეთა საგვარეულო“ (ბათუმი, 2013 წ.), რომელშიც საქართველოში ერთ-ერთი უძველესი გვარის წარმომავლობაა შესწავლილი და იგი ამ თემაზე აქამდე გავრცელებული შეხედულებებისგან განსხვავებულია. მასში ავტორი სამხრეთ საქართველოს დღემდე მოღწეულ



ც. ბეჟანიძის ნაშრომი

უძველეს წერილობით წყაროებთან, საკ-ვლევ ობიექტში არსებულ არქეოლოგიურ მონაპოვრებთან და ტოპონიმებთან, სხვა მონაცემებთან ერთად, ეყრდნობა მეცნი-ერთა ნაწილის მოსაზრებას ბეჟანიძეთა გვარის ფუძემდებლისა და დასაბამის მიმ-ცემის, ბეჟანის, ვინაობის შესახებ, რომე-ლიც სინამდვილეში იგივე XVI ს-ის „კლარ-ჯული სვინაქსრის“ აღაპებში მოხსენიებუ-ლი ბეჟან აბუსერისძეა. მით უფრო, რომ ამავე თემაზე არსებობს ზენდიდის ციხის მეპატრონე თულუმბაზადე ბეჟანიძეების შთამომავალთა საგვარეულო გადმოცემა აბუსერისძეთა და ბეჟანიძეთა ნათესაობის შესახებ.

წიგნზე გამოხმაურებების შემდეგ, მი-ზანშეწონილად ვცანით, მისთვის ჩვენეუ-ლი ინტერპრეტაციები დაგვერთო. თავის მხრივ, სპეციალისტებმა ტენდენციურობი-სა და ცალმხრივობის ასაცილებლად, გვე-რდი არ უნდა აუარონ საისტორიოგრაფიო

მიმოქცევაში დამკვიდრებულ ახალ მოსაზრებებს, რომლებმაც ხალხური გადმოცემებისა და თქმულებებისგან განსხვავებით, შესაძლოა წარსულის სხვა განზომილებით გაშუქებაში შეიტანონ წვლილი.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თურქეთში მოღვაწე მკვლევრის, წარმოშობით ბეჟანიძის, ალი ფუათ თოლგას ნაშრომში „Bejanidze Acarali Bicanoglu Ailesinin Tarihi“ („ბეჟანიძის ოჯახის ისტორია“), Istanbul, 2015, გვ. 42...47-ზე) გამოთქმული მოსაზრება, რომ სასურველია XVI ს-დან აჭარის რეგიონში მცხოვრები, სიმდიდრის, ავტორიტეტის, ძლევამოსილებისა და გავლენის მფლობელი ბეჟანიძეთა საგვარეულოს წარსული შევისწავლოთ სწორად და შთამომავლობას მართებულად გადავცეთ.

ამ ნაშრომს, რომელიც ოსმალურ არქივებს ეყრდნობა და მეტწილად ემთხვევა ც. ბეჟანიძის მოსაზრებებს, ასევე, შესაბამის კონტექსტში დამოწმებულ ქართულ წყა-

როებს, ჩვენ ბროშურაში არაერთხელ მიმოვიხილავთ, რათა მონაცემთა შეპირისპირებით ისტორიულ რეალობაზე მკითხველს ობიექტური წარმოდგენა შეექმნას.

*

* *

ბეჟანიძეთა გვარი ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა საგვარეულოს უძველესი განშტოებაა. ჩვენი წინაპრები წარსულში აჭარისწყლის მთელ ხეობას განაგებდნენ, – ასკვნის თავის წიგნში ც. ბეჟანიძე და ხაზს უსვამს ამ მოსაზრების თანხვედრას მეცნიერთა ნაწილის შეხედულებასთან ბეჟანიძეთა გვარის ფუძემდებლის, ბეჟანის, XVI ს-ის „კლარჯული სვინაქსრის“ აღაპებში მოხსენებულ, ბეჟან აბუსერისძედ მიჩნევაზე (რ. ხალვაში, „ბეჟან აბუსერისძე აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი“, გაზ. „აჭარა“, 20.VI.2003), რისი თქმის უფლებას, საგვარეულო გადმოცემასთან ერთად მას, როგორც ზენდიდის ციხის მფლობელთა



ბეჟან აბუსერისძე – აჭარის (აჭარისწყლის) ხეობის
ბოლო ქრისტიანი მმართველი (მხატვარი კ. ლაფანაშვილი)

უშუალო მემკვიდრეს, აძლევს პირადი დაკვირვებები და გამოკვლევები.

კერძოდ, მათ საფუძველზე ავტორი გვთავაზობს მოსაზრებას, რომ გამორიცხული არაა ბეჟანიძეთა ზენდიდის ციხე, შედარებით მცირე მასშტაბებში, თავდაპირველად XI ს-დან საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად მოღვაწე, ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების მაშენებელ აჭარის წინამძღოლ აბუსერისძეებს აეგოთ, რომელთა მმართველობის დასაწყისი ქრონოლოგიურად ციხიდან 150-200 მეტრის მოშორებით მდებარე დარბაზული ტიპის მონასტრის აშენების სავარაუდო პერიოდს (IX-XI ს-ები) ემთხვევა, რაც აქ, ცხადია, მრევლისა და დასახლების გარეშე ვერ გაჩნდებოდა (მცირე მასშტაბის გათხრები აქ აწარმოა პროფესორმა შოთა მამულაძემ).

ზენდიდში სახლობის სიძველეზე მეტყველებს თუნდაც აბუსერისძეთა პერიოდის „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XIII-XIV სს.)

ზენდიდის ბაზალტის ლოდებით ნაგები
მონასტრის ნანგრევები

მოყვანილი ერთ-ერთი ცნობა, რომელშიც დასახელებულია ვინმე პაპა გიორგასძე: სულსა გიორგასძის ზენდიდელის პაპასას და მისა მეუღლის ნათელის შეუნდვენ ღმერთმან („ტბეთის სულთა მატიანე“, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1977, გვ. 100, 309).

დროთა განმავლობაში, განაგრძობს ავტორი, – აბუსერისძეთა საგვარეულოს შეს-

დაბა ქედის ხედი სოფ. ზენდიდიდან

უსტების კვალობაზე, – აღნიშნული მონასტრის გვერდით არსებული ზენდიდის ციხე, სტრატეგიული მიზნით აღდგენა -განახლების შემდეგ (ზემოდან გადაჰყურებდა და აკონტროლებდა როგორც უძველეს სავაჭრო გზებსა და დაბა ქედას, ისე თურქეთში გადასავლელ ორცვა-მერისის კალთებს), XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, მათი შესაძლო განშტოების-ბეჟანიძეების საკუთრებად იქცა, რომელთა მიერ მისი ფლობა შეესაბამება კიდევაც ისტორიის დინებას.

რაც შეეხება ციხის უძველესობას, აბუსერისძეებისგან მისი აშენების სავარაუდო ვერსიაზე უფრო შორს მიდის პროფესორი ი. მოსულიშვილი, რომელიც „მოდი მნახეს“ ოთხკუთხა, ფლეთილი ქვების წყობასთან პარალელს თვით უჯარმის (VI ს.) და რუსთავის (VIII ს.) უძველეს ციხეებთან და ამ ეპოქის სხვა ძეგლებთან ავლებს. ამავე პერიოდში აგებულად თვლის იგი ზენდიდის მონასტერსაც (ი. მოსულიშვილი, „ზენდი-

„მოდი მნახეს“ ციხის ერთ-ერთი კედლის ფრაგმენტი

დის ციხე“, თბ., 1998, გვ. 2; მისივე „ბეჟანიძეების საგვარეულო ციხის კომპლექსის ნაწილობრივი აღდგენისა და კონსერვაციის მუშა პროექტი“, თბ., 2002, გვ. 3), რაც განსახილველი თემის შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

ზენდიდის მონასტერი ციხესთან ერთიან კომპლექსში რომ უნდა განიხილებოდეს მიანიშნებს ის, რომ ძველ ციხესიმაგრეებს

სამლოცველოები გააჩნდათ როგორც შიგნით, ისე გარე ტერიტორიაზე. გარე პერიმეტრზე მონასტრის გარდა, ციხის შიგნით, მკვლევართა აზრით, უძველესი ეკლესიაც არსებობდა, რასაც უნდა ადასტურებდეს აქ შემორჩენილი ერთ-ერთი ქვის თაღი. აქედან გამომდინარე, ლოგიკური ჩანს აბუსერისძეთა, როგორც დიდგვაროვანთა, სათავადო სამფლობელო მონასტრითა და კარის ეკლესიით.

როგორც ცნობილია, აბუსერისძეები არა მარტო ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების ამგებთა სახელით შემორჩნენ ისტორიას, არამედ ფასდაუდებელი ჰაგიოგრაფიული ქმნილებებით. ამ მხრივ გამოირჩევა დიდი მოაზროვნის, მეცნიერისა და მწერლის ტბელ აბუსერისძის (1190-1240) რელიგიური თხზულებები: „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი და ანდერძნი... მთქუმელისაი“, „გალობანი სამთა იოანეთანი: წინამორბედისა, ღვთისმე-

ტბელ აბუსერისძე
(მხატვარი შ. ხოლუაშვილი)

ტყველისა და ოქროპირისა“, „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“ და „ახალნი სასწაულნი წმიდისი გიორგისნი“, რომლებიც ეროვნულ-ქრისტიანული განწყობილებებითაა დამუხტული და უფლისადმი კრძალვით განაწყობს მკითხველს; გვაჩვენებს, როგორ იდგნენ აბუსერისძეები აჭარაში სახელმწიფოებრიობასთან ერთად, ქრისტიანობის სათავეებთან.

საგვარეულო გადმოცემა ბეჟანიძეთა აბუსერისძეებისგან წარმომავლობაზე ბოლო პერიოდში ძველ ოსმალურ ტექსტთა თარგმანებით განხორციელებულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმაც განამტკიცა („აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, გამოსაცემად მოამზადეს ზ. შაშიკაძემ და მ. მახარაძემ). თურქულ არქივებში მოპოვებული 1561 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ აჭარის ხეობის ბოლო ქრისტიანი მმართველი ყოფილა ბეჟანი, რომელიც „აწყობს არეულობებს და დაუმორჩილებელია“.

ცხადია, ბეჟანი დიდგვაროვანი რომ არ ყოფილიყო, ხეობის მმართველი ვერ იქნებოდა. იგი ამ ტიტულს, როგორც აბუსერისძეთა განშტოებისა და მხარის მმართველთა წარმომადგენელი, მემკვიდრეობით ფლობდა და აქ ყველაფერი სულთნის ნება-სურვილზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო დამოკიდებული. მით უფრო, მომხდურისგან საკუთარი უფლებების დაცვა.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ს. მესხის ცნობა, რომლის მიხედვითაც"... ადრე... ამ გვარის პირველი კაცები უეჭველად უნდა ყოფილიყვნენ... გამგებლებად. უამათოდ ხონთქარი ვერაფერ ბრძანებასა და განკარგულებას ვერ გასცემდა" (ს. მესხი, თხზ., ტ. III, 1964, გვ. 33, 41, 45).

ამ შეხედულებასთან სრულ თანხვედრაშია ალი თოლგას აზრიც, რომლის თქმითაც, ბეჟანიძეები, რომ არ ჰქონოდათ ძველთაგანვე მომდინარე საკუთარი მამოძრავებელი ძლევამოსილება და გავლენა,

ვერ იქნებოდნენ XVI ს-დან, ანუ ოსმალთა პერიოდში, უფლებრივად მაღალ პოზიციებზე; ვერ მიიღებდნენ ისეთ მნიშვნელოვან ძალაუფლებას, როგორიც იყო აჭარის სანჯაყის მმართველობაო (ალი ფუათ თოლგა, დასახ. ნაშრომი, გვ. 42...47).

მისაღებია ც. ბეჟანიძის მოსაზრება, რომ გვარსახელი „ბეჟანიძე“ ოსმალთა ბატონობის პერიოდში გაფორმდა და მას სიმბოლურად საფუძვლად დაედო ოსმალებისადმი დაუმორჩილებელი მთავრის ქრისტიანული სახელი-ბეჟანი და არა ამავე პიროვნების ოსმალური სახელი მეჰმედი, რომელიც მან, სტამბულში სულთანთან წვევისას, ისლამის ფორმალურად აღიარების შემდეგ მიიღო. ასე, რომ გვარსახელი ბეჟანიძე ინახავდა ოსმალო დამპყრობლებისადმი დაუმორჩილებლობის იდეას, რომლის მთავარ ბურჯად და პლაცდარმად საგვარეულო ზენდიდის ციხე განიხილებოდა.

კუთხის წინამძღოლობის საერთო ფუნ-ქციით, ვფიქრობთ, შესაძლებელია ვიპოვ-ოთ მსგავსება ბეჟანიძეებისა და მამული-სადმი თავდადებულ აბუსერისძეთა საბრ-ძოლო სულისკვეთებაში, რომლებიც მეფე ბაგრატ IV-ის პერიოდიდან (1027-1072) საუკუნეების განმავლობაში ირჯებოდნენ ქვეყნის გამთლიანებისთვის. მათ შორის ერთ-ერთი ივანე აბუსერისძე ბასიანის ბრძოლაში (1203) აღესრულა „თურქთა ხე-ლითა“. ამავე კონტექსტში სახსენებელია ივანე III აბუსერისძის ამირსპასალარობა (მთავარსარდლობა) გიორგი ბრწყინვალის მემკვიდრის – დავით VII-ის მეფობის ჟამს (1346-1360), საიდანაც ირკვევა, რომ გიო-რგი ბრწყინვალის დროს აბუსერისძეთა საერისთავო უშუალოდ დაექვემდებარა გა-ერთიანებულ საქართველოს.

ასეთი საპასუხისმგებლო ეროვნული მისიის აღსრულების ფონზე, ვფიქრობთ, უსაფუძვლო არ უნდა იყოს მოსაზრება,

რომ, ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების მსგავსად, აჭარაში არსებული სათვალთ-ვალო კოშკები სათავეს აბუსერისძეების დროიდან იღებდეს. სწორედ აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობების სასიგნა-ლო სისტემებით (კოშკებზე ანთებული ცე-ცხლის კვამლით) უნდა უზრუნველეყოთ აბუსერისძეებს (შემდგომში ბეჟანიძეებს) და კუთხის სხვა მმართველებს მომხდურ-თან სათანადო მოტივაციით დახვედრა და მხარის შეუღწევლობა.

რაკი აბუსერისძეთა და მათი განაყოფის – ბეჟანიძეების ბრძოლისუნარიანობის ზო-გად არსსა და მისიაზე ჩამოვარდა საუბარი აქვე სახსენებელია 1575-1576 წლებში გა-დახდენილი ბრძოლა სპარსელებთან, როცა ათაბაგის მეუღლემ დედისიმედმა, შაჰ-თა-მაზისგან თავდასაცავად, შვილებითურთ ზენდიდის ციხეს შეაფარა თავი. ამ დროს „...მოსწყდა საუკეთესო ვაჟკაცობა აჭარე-ლთა...“, თუმცა არც მტერს დასდგომია

ზენდიდის ციხის ერთ-ერთი სათოფური

კარგი დღე (ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი“, ბათუმი, 1911, გვ. 54-55).

ეს იყო ომი, რომლის სიმძიმე, დიდი მსხვერპლის ფასად, „მოდი მნახეს“ მეპატრონე გულადმა ბეჟანიძეებმა და უდრეკმა ციხიონმა თავიანთ მხრებზე გადაიტანეს, როცა მოითათბირეს – თუ შაჰ-თამაზი დაპყრობას დაგვიპირებს „...მაშინ ყველა ჩვენთაგანი მოჰკვდეს საქართველოსთვისო. ყველამ ფიცი მისცა ვინც საქართველოს უღალატოს შერცხვენილ იქნეს და შეჩვენებულიო...“ (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშ. იქვე).

ქვეყნის ერთიანობისა და მამაპაპური რწმენისადმი ერთგულების გამოვლენა იყო XVII ს-ის 20-იანი წლებიდან გათათრების საწინააღმდეგო გამოსვლებიც, რომლის დროსაც აქაურები ბეჟანიძეთა „მოდი მნახეს“ ციხიდან უწევდნენ მტერს წინააღმდეგობას და ისე გაუჭირეს საფარ ფაშას საქმე, რომ მან მათი გათათრება შეაჩერა

„...რადგანაც მთელს მის სიცოცხლეში აჭარელნი მოუსვენრათ იბრძოდენ...“ ბეჟანიძეთა ეს ციტადელი სწორედ ხსენებულ დროს იქმნა დაქცეული (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86).

აბუსერისძეთა განშტოების, ბეჟანიძეების, მამულისადმი თავდადებაზე მაგალითების მოყვანა ისტორიიდან კიდევ შეიძლება, თუმცა მთავარ სათქმელს რომ არ დავშორდეთ ერთსაც მოვიხმობთ და დავასრულებთ აღნიშნულ თემაზე საუბარს. მხედველობაში გვაქვს აჭარელთა 1845 წლის ანტიოსმალური აჯანყება, რომლის მეთაური ზენდიდელი ჰაჯიასან-ბეგ ბეჟანიძე ყოფილა. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა უთანასწორო გადამწყვეტ ბრძოლას, რომელიც აჭარისწყლის ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას, მახუნცეთის (აწჰესის) მიდამოებში გამართულა.

როგორც კი ხეობაში ასკერთა 20 ათასიანი ლაშქარი შემოვიდა, ადგილობრივები



1845 წლის აჯანყების
გადამწყვეტი ბრძოლა
(მხატვარი გ. გუჯაბიძე)

ისეთ ვიწრო ადგილებში ჩასაფრდნენ, რომ მტერს დიდძალი მეომარი ამოუწყვიტეს (ხ. ახვლედიანი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ბათუმი, 1978, გვ. 117). გადმოცემით, ჰაჯიასან-ბეგს დიდი წვლილი შეუტანია აჯანყებულთა იარაღით აღჭურვასა და ციხე-კოშკების გამაგრებაში. მხედართმთავრული ნიჭის წყალობით, იგი ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკასაც განსაზღვრავდა.

ნიშანდობლივია, რომ 2018 წლის 21 ივნისს, ამ ბრძოლის ადგილას, ზემოხსენებული წიგნის ავტორის, ც. ბეჟანიძის ვაჟის, ენრიკო (გრიგოლ) ბერიძის, ინიციატივითა და დაფინანსებით, საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებულთა მონუმენტი „სამშობლოს სადარაჯოზე“ აღიმართა, რაც ამ მიდამოებში გამართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეთა სიმტკიცისა და ერთსულოვნების სიმბოლოცაა. ეძღვნება

მონუმენტი „სამშობლოს სადარაჯოზე“

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავს.

ბეჟანიძეებისა და აბუსერისძეთა ისტორიული ფუნქციის იდენტობაზე თავის ნაშრომში მოსაზრებას გამოთქვამს ალი ფუათ თოლგაც, რომელიც ზოგადად ყურადღებას ამახვილებს რეგიონის დასაცავად ორივე საგვარეულოს ბრძოლებში და ომებში მონაწილეობაზე. თუ როგორ არგუნა მათ უფალმა ხვედრად აჭარის მფლობელობა (მედროშეობა) და ა. შ., რითაც ბეჟანიძეები თვისებრივად აბუსერისძეებს უფრო ჰგვანან ვიდრე პირმსახურისძეებსო.

იგივე მკვლევრის აზრით, პირმსახურისძეები იყვნენ სამეფო სასახლის მკვიდრნი, სადაც ეკავათ გარკვეული თანამდებობა (ევალებოდათ სასახლის მართვა, ცერემონიების მოწყობა, სამეფო კარის გარეგნობაზე და ჩაცმულობაზე ზრუნვა), რის გათვალისწინებითაც უნდა ჩაითვალოს, რომ თითქმის მთელი თავიანთი არსებობის პე-

რიოდი განვლეს „სასახლის ცხოვრებითა და სიმშვიდით“.

თუ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ, რომ მათ მართლაც ვერ ექნებოდათ, აბუსერისძეების მსგავსად, „...გამუდმებული ომის პირობებში ცხოვრების უნარები...“, საკამათოა ვარაუდი, რომ ბეჟანიძეები, რომლებიც ავლენენ აბუსერისძეთა საგვარეულოს მსგავსი ცხოვრების თავისებურებებს, იყონ პირმსახურისძეთა გაგრძელება (ალი ფუათ თოლგა, დასახ. ნაშრომი, იქვე).

ამ თემაზე საკუთარი მოსაზრება გააჩნია ც. ბეჟანიძეს, რომელიც თვლის, რომ პირფარეშისძეებს (პირმსახურისძეებს) ზენდიდში, საგვარეულო ციხის ტერიტორიაზე მცხოვრები და ამავე ციხის მფლობელი თულუმბაზადე ბეჟანიძეებისგან განსხვავებით, მამული „მოდი, მნახეს“ გალავანს გარეთ აქვთ მიკუთვნებული, რაც სრულებით არ აკნინებს მათ დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე. ისინი იმთავითვე „მოდი

ზენდიდის ციხის გალავნის ნაშთი

მნახეს“ უერთგულეს დამცველთა ფუნქციას ასრულებდნენ და მიეკუთვნებოდნენ აზნაურთა (აღათა) წრეს.

ქართული გვარების ოფიციალურად აღდგენის დაწყებისთანავე, პირმსახურისძეებმა სწორედ თულუმბაზადეების თანხმობით დაიწერეს ბეჟანიძის გვარი. ამიტომაც შეუძლებელია ბეჟანიძეები პირმსახურისძეთა შთამომავლები იყონ. რაც შეეხება ხალხურ გადმოცემას ზენდიდში პირმსახურისძეების პრიორიტეტზე, გამორიცხული არაა მის შესახებ ზ. ჭიჭინაძისთვის პირფარეშისძეთა რომელიმე წარმომადგენელს მოეთხროო.

ც. ბეჟანიძისთვის კატეგორიულად მიუღებელია, აგრეთვე, ბეჟანიძეთა აჭარაში მცხოვრები სხვა რომელიმე (მით უფრო რეგიონის მასშტაბებში არათავადური) გვარიდან წარმომავლობა, რაც მტკიცე არგუმენტებითაა უგულებელყოფილი და დე-

ტალურად შეიძლება იხილოთ მისივე ნაშ-
რომში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აბუსერის-
ძეები XI ს-ის 30-იანი წლებიდან ერთხანს
ფლობდნენ არტანუჯის საერისთავოსა და
ციხისჯვრისა და აწყურის ციხეებს, ამავე
საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ხიხათა
(აჭარის) საერისთავოს, ნათელი გახდე-
ბა მათ მფლობელობაში რაოდენ ვრცელი
ტერიტორიები შედიოდა. როგორც ჩანს,
ამ ფაქტორმა განაპირობა, რომ თულუმბა-
ზადე ბეჟანიძეებს, როგორც აბუსერისძე-
თა გვარის განაყოფს, ქედის (ქვემო აჭარ-
ის) გარდა მამულები გააჩნდათ ჩაქვსა და
ბათუმში. ვფიქრობთ, ამ მოვლენას სხვა-
გვარი ინტერპრეტაცია არ მოეძებნება,
რადგანაც ერთი საგვარეულო ამოდენა
საკუთრებას მემკვიდრეობის უფლების გა-
რეშე ვერ გადაწვდებოდა, მით უფრო ოსმა-
ლთა პერიოდში.

ჩაქვის მფლობელი ბეჟანიძეებისგან ჩვენთვის ცნობილია გვარის ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენლის, ახმედ ბეგ ბეჟანიძის, ვაჟი სეფერი, რომელიც აქ XVIII ს-დან ჩანს. მისი შთამომავლები ბათუმში, მდინარე ყოროლისწყლის და შავი ზღვის შესართავთან ციხე-სასახლიან თამარის გორასა და მის მიმდებარე 40 დესეტინა მიწასაც ფლობდნენ.

ზოგიერთი წყარო ჩაქველი ბეჟანიძეების სამფლობელოებს ყოროლისთავიდან მოყოლებული შემდეგი მიწებით საზღვრავს: მახინჯაური, მწვანე კონცხი, სახალვაშო, ასევე, ჩაქვი შემოგარენით ციხისძირამდე (ი. ბექირიშვილი, „აჭარის ისტორია გვარ-სახელებში“, ბათუმი, 1996, გვ. 53).

ალი თოლგას მონაცემებით, ოსმალთა 1834 და 1844 წლების აჭარის მოსახლეობის აღწერებით, ბეჟანიძეების საცხოვრებელი ადგილმდებარეობა განისაზღვრებოდა

ბათუმის პორტის ტერიტორიითაც (ალი ფუათ თოლგა, დასახ. ნაშრომი, გვ. 25...28).

ჩაქველი ბეჟანიძეები ზღვისპირეთში სტრატეგიული დანიშნულების ადგილებს რომ ფლობდნენ ჩანს იქიდანაც, რომ რუსთა მმართველობის პერიოდში ფოთი-ბათუმის რკინიგზა მათი ტერიტორიების გავლითაც იქნა გაყვანილი.

დ. ბაქრაძის მიერ ბეჟანიძეთა თამარის გორის მონახულებისას აქ შემორჩენილი ყოფილა დიდი კედლისა და ეკლესიის ნაშთები. გამორიცხული არაა, სათავადო მამულთან ერთად, ამ შემთხვევაშიც საქმე გვქონდეს წარჩინებული აბუსერისძეებისგან საგვარეულო ეკლესიის ფლობასთან, რომელიც შეიძლება, სავარაუდოდ, თამარ მეფის ან მომდევნო უახლოეს ეპოქაში იყოს აგებული. მით უფრო, რომ, გადმოცემით, ამ გორის წარმოქმნა სწორედ თამარის სახელს უკავშირდება. ტრაპიზონის დასალაშქრავად მიმავალ თამარ დედოფალს აქ

ბათუმის თამარის ციხე, XIII საუკუნე

თურქთა გემიდან გადმოსხმული მეკობრეები გადაეღობნენ. მეფემ ისინი ადვილად შემუსრა და ცოტა ხნით დაივანა. მხლებელმა და მოახლე ქალებმა ქოშები გაიწმინდეს, რის შედეგად აქ გორა წამოიმართაო.

„ერთ-ერთი თქმულებით, ტრაპიზონში ძლევამოსილი გამარჯვებისა და იქიდან დაბრუნების შემდეგ ხელმწიფემ ამ გორაზე ციხის აშენება ბრძანა. ააშენეს კიდეც და ამ ციხესაც და ადგილსაც თამარის სახელი შეარქვესო (რ. სურმანიძე, „ლაზეთის ლეგენდა“, ბათუმი, 2010, გვ. 70). ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ბეჟანიძეთა დასაბამის მიმცემი აბუსერისძეები თამარ მეფის თანამედროვენი არიან (აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ გორაზე, რომელსაც ოფიციალურად ბეჟანიძეთა საკუთრებად მოიხსენიებდნენ, ამჟამად თამარის სახელობის ეკლესია მოქმედებს).

სიმბოლურია, რომ ჩაქვის შტოს ბეჟანიძეთა პროგრესული და გავლენიანი წარმომადგენელი სეფერ-ბეგის ვაჟი, ხუსეინ ბეჟანიძე, ითვლება ავტორად თამარ მეფეზე მიძღვნილი ლექსისა „ათასი კაბა ყმა მყავდა“, რომელიც ხალხური პოეზიის საგანძურადაა მიჩნეული და შეტანილია ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების ყველა მნიშვნელოვან გამოცემაში:

ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა
ვასმევდი ბროლის ჭიქითა.
ვინც რომ შემება, შევები,
ალალითა და ჯიქითა!
აწი თქვენ იცით მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა!

ხუსეინისთვის, ეროვნული ორიენტაციის გამო, ოსმალებს იმის დამამტკიცებელი საბუთები წაურთმევიათ, რომ ბეჟანიძეები მოდგმით აჭარის ერისთავები იყვნენ (ი. ბე-

ხუსეინ ბეჟანიძე

ქირიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21), თუმცა რეპრესიების მიუხედავად, ვერ გაუტეხიათ. ახლო ურთიერთობა გააჩნდა აკაკი წერეთელთან და ილია ჭავჭავაძესთან. მიეკუთვნებოდა იმჟამინდელი ბათუმის თავის – ლუკა ასათიანის ირგვლივ შემოკრებილ ადამიანთა წრეს. ოსმალთაგან გათავისუფლების შემდეგ, აქტიურად მონაწილეობდა ბათუმის აღმშენებლობაში, მუჰაჯირობის წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიაში.

რაკი ხუსეინთან მიმართებით თამარზე, ამ წმინდანად შერაცხულ გვირგვინოსანზე, ჩამოვარდა საუბარი, ვფიქრობთ, აქვე უპრიანი იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ ხ. ბეჟანიძის დაზე, ქართველ მანდილოსანთა ღირსეულ წარმომადგენელზე, დუდი ხანუმზე, რომელიც მეუღლის, ზემო აჭარის მმართველის, ახმედ ბეგ ხიმშიაშვილის, გარდაცვალების შემდეგ, ვაჟის, შერიფის, სრულწლოვანებამდე, 1836-1850 წლებში, განაგებდა ჩვენს კუთხეს. პერიოდში, რო-

მელიც ერთობ რთული პოლიტიკური პროცესებით გამოირჩეოდა.

1844 წლის აჭარელთა ანტიოსმალური აჯანყების დროს დიდი წინდახედულება გამოიჩინა, რის კვალობაზე ადგილობრივი მოსახლეობა სამხედრო ბეგარისგან გაათავისუფლეს და გადასახადები შეუმცირეს. დიდი დამსახურება მიუძღვის ყმაწვილი შერიფის სულიერი სამყაროსა და პოლიტიკური ორიენტაციის ფორმირებაში. ჩაუნერგა საქართველოს მხურვალე სიყვარული, რამაც განაპირობა მისი დაუცხრომელი ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, რასაც აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება და ქვეყნის გამთლიანება მოჰყვა შედეგად.

დუდი ხანუმი გულისხმიერებით ეპყრობოდა XIII ს-ში აბუსერისძეთა თაოსნობით აგებულ სხალთის ეკლესიას. მამისეული ოჯახიდან გამოყოლილ ბევრ ქრისტიანულ რიტუალსა და ტრადიციას იგი ხიმშიაშვილ-

სხალთის ეკლესია

თა ოჯახშიც მისდევდა. დედოფლის სიცოცხლეში სანთლის ნათელი არ მოჰკლებია დაობლებულ სალოცავს.

აღნიშნული ეკლესიის გადარჩენასა და ჩვენამდე სრული სახით მოღწევას მეტწილად სწორედ მის სახელს უნდა ვუმადლოდეთ. ეკლესიას ქრისტიანობისთვის იმ მძიმე ჟამს მისი სახით ჭეშმარიტი მზრუნ-

ველი გამოუჩნდა (შ. ფუტკარაძე, „სახლო, სულით მაღალო“, გაზ. „აჭარა“, 18.III.2000, №66-67, გვ. 6).

მიუღებელია მოსაზრება, თითქოს XIV საუკუნიდან აბუსერისძეები დაკნინდნენ და ამ პერიოდიდან ისტორიულ არენაზე აღარ ჩანან, რასაც ადასტურებს 1516 წლის დოკუმენტი „სამცხე-საათაბაგოს თავადთა და სამწყსოთა სია“, სადაც აბუსერისძეები იხსენიებიან მამულით, ეკლესია-მონასტრებითა და სასახლით, ანუ XIV-XVI საუკუნეებშიც სამცხე-საათაბაგოს თავადები არიან. რომ არ დაკნინებულან ჩანს მათი არსებობის გაგრძელებითაც ბეჟანიძეთა საგვარეულოს სახით, რომელიც შეიძლება მათი ტრადიციების ღირსეულ განსახიერებად და განშტოებად იქნას მიჩნეული.

ისედაც, თავადური წარმომავლობის უძველეს გვარებს შორის აჭარაში აბუსერისძეების შემდეგ სწორედ ბეჟანიძეები არიან და, როგორც ალი თოლგა ამბობს,

თუ გავიზიარებთ შეხედულებას, რომ ისინი აბუსერისძეებისგან იღებენ სათავეს, შეიძლება ჩაითვალოს, რომ წარმოსდგებიან სწორედ ამ, რეგიონის უმეტესად მფლობელი და დომინანტი ძალის მქონე, XI საუკუნიდან აჭარის ძალაუფლების სათავეში მყოფი, ადგილობრივი ფეოდალებისგან (ალი ფუათ თოლგა, დასახ. ნაშრომი, იქვე).

ნიშანდობლივია, რომ როგორც აბუსერისძეების, ისე ბეჟანიძეთა გვარები საკუთარი სახელიდან იწარმოებიან, რაც, ვფიქრობთ, მათი წარმომავლობის კიდევ ერთ საერთო ფენომენზე უნდა მეტყველებდეს.

ზოგიერთი განმარტებით, რეგიონში აბუსერისძეებისა და ბეჟანიძეების მმართველობის ხანა 1000 წელზე მეტ პერიოდს ითვლის, რაც საგულისხმო ფაქტია საქართველოს ისტორიაში (ალი ფუათ თოლგა, დასახ. ნაშრომი, იქვე).

გამომცემლობის დირექტორი
მურმან ცეცხლაძე

გამომცემლობის რედაქტორი
ჟუჟუნა შაინიძე

რედაქტორ-სტილისტი
ჯემალ სურმანიძე

დიზაინერი და
დამკაბადონებელი
მალხაზ ფაღავა

მხატვრული რედაქტორი
ჯემალ გორგილაძე

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

კორექტორი
ივდით დიასამიძე

გამომცემლობა „ლაზარე+“,
ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. 2. ტელ.: (422) 27-95-97

ISBN 978-9941-9496-2-3

9 789941 949623